კავკასიის უნივერსიტეტი
კავკასიის ბიზნესის სკოლა
მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში
სასწავლო კურსების კატალოგი

სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის აღწერილობა	I წელი			II წელი		
				I	II	III	IV	V	VI
სასწავლო კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები									
MSC 5120		სტატისტიკური ანალიზი მენეჯერთათვის	კურსი არის მოკლე შესავალი სტატისტიკურ მეთოდებში, კერძოდ: მენეჯერული ინფორმაციის წარდგენა, მენეჯერული სტატისტიკა, შესაძლებლობა და შესაძლებლობების განაწილება, გადაწყვეტილების მიღება გაურკვეველ მდგომარეობაში, ბაზრის კვლევა და სტატისტიკური დასკვნა, სიმულაცია, წინათქმა და რეგრესია.	5					
MSC 5114		დიზაინ აზროვნება მენეჯერებისთვის	დიზაინ აზროვნება პრობლემების ინოვაციურად გადაჭრის მეთოდოლოგიაა, რომელიც დღეს ყველა სფეროში გამოიყენება ბიზნესში, საჯარო და არასამთავრობო სექტორში. ემპათია, პრობლემის სწორი დეფინიცია, გადაწყვეტილებების პროტოტიპირება და ტესტირება ხელს უწყობენ კრეატიულობისა და ინოვაციის განვითარებას ორგანიზაციებში. კურსის დიზაინ აზროვნების მენეჯერებისთვის მიზანია დაეხმაროს მონაწილეებს გაიაზრონ დიზაინის აზროვნების პრინციპები და მენეჯერულ კონტექსტში მათი გამოყენების შესაძლებლობა. ეს პრაქტიკული კურსი იყენებს ადამიანზე ორიენტირებული დიზაინის პრინციპებს, რათა სტუდენტებში ორგანიზაციული პრობლემის ინოვაციურად გადაჭრის უნარები განავითაროს.	5					
MSC 5112		მარკეტინგის მენეჯმენტი	მარკეტინგის მენეჯმენტის კურსი შეასწავლის სტუდენტებს კომპანიაში წარმოებული მარკეტინგული ფუნქციების თეორიულ საფუძვლებს. საგნის შესწავლის შემდეგ, სტუდენტმა უნდა შეძლოს მარკეტინგული მართვის პოლიტიკისა და სტრატეგიის ფორმულირება და მისი განხორციელების გზების დასახვა. მარკეტინგული მართვის პროცესი მნიშვნელოვანია ორგანიზაციის ყველა დონეზე. ეს კურსი თქვენ გაგაცნობთ, როგორ უნდა მოხდეს ინდუსტრიის, კონკურენტებისა და ბაზრის ანალიზი; როგორ უნდა მოვახდინოთ მომხმარებლებთან თუ ბიზნეს ორგანიზაციებთან ურთიერთობა; როგორ გავაკეთოთ	5					

			სეგმენტაცია, მიზნობრივი ბაზრის ამორჩევა და პოზიციონირება; როგორ ვაწარმოოთ ფასწარმოქმნა, დისტრიბუცია და კომუნიკაცია; როგორ შევაფასოთ მარკეტინგის მიერ განხორციელებული ქმედებები.						
MSC 5115		აღრიცხვა და ფინანსები	ამ კურსის მიზანია, ფინანსური და მენეჯერული აღრიცხვისა და ფინანსების ძირითადი საკითხები და პრინციპები გააცნოს სტუდენტებს და მისცეს აუცილებელი ცოდნა და უნარები, რომ შეძლონ მუშაობა ფინანსური ინფორმაციის ჩაწერაზე, ანალიზსა და ინტერპრეტირებაზე.	5					
MSC 5216		თვისებრივი კვლევის მეთოდები	მოცემული კურსი აანალიზებს თვისებრივ კვლევას მაგისტრატურის დონეზე, ფოკუსირდება მის ფილოსოფიაზე, პარადიგმებზე, დიზაინსა და ინსტრუმენტებზე. სტუდენტები შეისწავლიან ძირითად პრინციპებს, მათ შორის, ონტოლოგიურ და ეპისტემოლოგიურ მოსაზრებებს. ისინი განიხილავენ სხვადასხვა კვლევით პარადიგმებს, როგორიცაა ინტერპრეტივიზმი და კონსტრუქტივიზმი, და მათ გავლენას კვლევის დიზაინზე. განხილული იქნება თუ როგორ უნდა შეირჩეს შესაბამისი თვისებრივი დიზაინი, როგორიცაა შემთხვევის ანალიზი, ეთნოგრაფიული კვლევები, ფოკუს-ჯგუფები. განხილული იქნება მონაცემთა შეგროვების პრაქტიკული ინსტრუმენტები, მათ შორის, ინტერვიუები და დაკვირვებები. გარდა ამისა, სტუდენტები შეიძენენ კომპეტენციას თვისებრივი მონაცემების ანალიზში, განიხილავენ თვისებრივი მონაცემების ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფის, როგორიცაა NVivo, ფუნქციონალურ შესაძლებლობებს. თვისებრივი კვლევის ეთიკური განზომილებები კრიტიკულად განიხილება მთელი კურსის განმავლობაში.		5				

RSCH 5210	MSC 5120	რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგია	კურსი დაეხმარება მსმენელს მიიღოს გამოცდილება და ცოდნა, ბიზნეს-სიტუაციების კვლევის მეთოდებზე, შეასრულოს მონაცემთა ანალიზი და მიღებული შედეგი აქციოს ოპტიმალურ გადაწყვეტილებად თუ შემაფასებელ წინადადებად. კურსი ორიენტირებულია პრაქტიკულ შედეგზე და მოიცავს შემდეგ თემებს: ოპტიმალური არჩევანის შესრულება შეზღუდული რესურსების პირობებში; გრაფიკების, ჰისტოგრამებისა და სხვა ფუნქციონალური ფორმების შექმნა; მოთხოვნა-მიწოდებისა თუ სხვადასხვა ტიპის დანახარჯების მინიმიზაციისა ან მოგების მაქსიმიზაციისათვის ოპტიმიზაციის ამოცანების დასმა-გადაწყვეტა; ოპტიმალური არჩევანის შესრულება ფინანსური პორტფოლიოს მართვაში; გადაწყვეტილების ხეების აგება; აპროქსიმაციები უმცირეს კვადრატთა, პოლინომიური და ექსპონენციალური მეთოდებით; პროგნოზირება, ჰიპოტეზების ტესტირება და სტატისტიკური ანალიზის შედეგად დასკვნების გაკეთება; ბიზნეს მოდელირება სიმულაციის, სცენარებისა თუ მონტე კარლოს მეთოდების გამოყენებით.		5				
MSC 5310	MSC 5120	სისტემებისა და ოპერაციების მენეჯმენტი	სისტემებისა და ოპერაციების მენეჯმენტის სასწავლო კურსი ეხება წარმოებისა და მომსახურების კომპანიებში ოპერაციების დაგეგმვას, კონტროლს და მათ გაუმჯობესებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროცესების როგორც ეფექტური, ასევე ეფექტიანი მართვა ოპტიმალური რესურსების გამოყენებით. განხილულია		5				

			ოპერაციების ურთიერთობა ბიზნესის სხვა მიმართულებებთან, ოპერაციების მენეჯმენტის სტრატეგია, ახალი პროდუქტების განვითარების პროცესი, მარაგების მართვის, ხარისხის მართვის პრინციპები, უდანაკარგო წარმოება და ზოგადად კომპანიის კონკურენტული უპირატესობის მიღწევა ოპერაციების წარმატებულად მართვის გზით.						
MSC 5311		მეწარმეობა	მოცემული კურსი უზრუნველყოფს სტუდენტებს შეისწავლონ პრაქტიკული ბიზნეს ხერხები იმისა, თუ როგორ შექმნან ახალი ბიზნესები ან განავითარონ უკვე არსებული. ხაზი გაესმება მეწარმეობის იმ ძირითად ასპექტებს, როგორებიცაა: მეწარმეების დამახასიათებელი თვისებები, შესაძლებლობების იდენტიფიცირება და შეფასება, ბიზნესის გეგმის დაწერა და ბიზნესის მოდელის განვითარება, მეწარმეობის მარკეტინგი, რისკების დაფინანსება, კაპიტალის ზრდა და წარმატებული გუნდის ჩამოყალიბება.		5				
MSC 5314		ინოვაციების მენეჯმენტი	სასწავლო კურსის მიზანია აღჭურვოს სტუდენტები ინოვაციური ცნებების, მოდელების და ტერმინოლოგიის ცოდნით, დაეხმაროს მათ გააცნობიერონ ინოვაციების პროცესი, კრიტიკულად შეაფასონ სხვადასხვა ინოვაციური სტრატეგიის ძლიერი და სუსტი მხარეები და ინოვაციების ეთიკური მხარე.			5			
MSC 5213		პროექტის მენეჯმენტი	კურსის მიზანია პროექტის მენეჯმენტის პრინციპების ახსნა და გაგება ბიზნესის ოპერაციებში. აქცენტი გაკეთებულია ამავე პრინციპების გამოყენებაზე, როგორც ბიზნეს პროცესების კომპონენტზე, რათა წარმატებით განხორციელდეს პროექტი, პროგრამა ან შესაბამისი აქტივობა. კურსში განხილული საკითხებია: პროექტის მიზნები; პიროვნება, ჯგუფი და სისტემა, პროექტის მართვის განმასხვავებელი მახასიათებლები; პროექტის მართვის ძირითადი ფუნქციები, განსხვავება ტრადიციული მენეჯმენტის ფუნქციებისაგან; სად და როდის შეიძლება გამოვიყენოთ პროექტების მართვის ტექნიკა; რა გარემოში			5			

			ხდება პროექტების განხორციელება; რა არის სისტემური აზროვნება/ხედვა; რა არის სისტემა და რატომ არის მნიშვნელოვანი სისტემური მიდგომა პროექტების მართვის დროს. სასიცოცხლო ციკლის ოთხი ეტაპი: 1. კონცეფციის ჩამოყალიბება; 2. ფორმულირება; 3. შესრულება; 4. მუშა მდგომარეობაში მოყვანა.						
MSC 5413	MSC 5111	მოლაპარაკების წარმოების მეთოდები	მოლაპარაკების წარმოების მეთოდების კურსი ორიენტირებულია მოლაპარაკებების სხვადასხვა კონტექსტში წარმოების საკითხებზე. მოცემული კურსი მოიცავს საკითხთა გადაჭრის ზოგად თემატიკას მრავალკულტურული გარემოს გათვალისწინებით. კულტურა ზეგავლენას ახდენს მომლაპარაკებელთა სტრატეგიებზე ინფორმაციის გამოყენებაში, საკითხთა წამოჭრაზე, ინტერესებისა და პრიორიტეტების ჩამოყალიბებაზე, ასევე სოციალურ, კულტურულ და ლეგალურ გარემოზე, სადაც იმართება მოლაპარაკებები. სიმულაციებში მონაწილეობით, ქეისების ანალიზით და დისკუსიებში მონაწილეობის საშუალებით, სტუდენტები ეცნობიან და ინვითარებენ კულტურათა შორის მოლაპარაკები სუნარ-ჩვევებს. ყოველივე ზემოთხსენებულის შედეგად, სტუდენტები გამოიმუშავებენ გლობალურ გარემოში პრობლემების მოგვარების და მოლაპარაკების წარმოების უმნიშვნელოვანეს უნარ-ჩვევებს.			5			
MSC 5412	MSC 5111	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	ეკონომიკა უფრო მეტად ორიენტირებული გახდა ცოდნაზე, რომელსაც ეფუძნება სამუშაო ადგილები, კონკურენტუნარიან გარემოში ორგანიზაციებმა უფრო მეტად აღიარეს კადრების მთავარი უპირატესობა, სწორედ ამან გამოიწვია ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სტრატეგიული მნიშვნელობის აღიარება. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი წარმოადგენს წარმატებული ორგანიზაციების უმთავრეს სტრატეგიულ ფუნქციას. კურსი აღიარებს ისეთ დინამიურ ურთიერთობებს, როგორიცაა სტრატეგია, ადამიანები, ტექნოლოგია და პროცესები, რომლებიც ორგანიზაციის მუშაობას უწყობს ხელს. კურსის განხილვის თემატიკაა: დასაქმების სამართალი, შტატის დაკომპლექტება, ანაზღაურება, ადამიანური რესურსების განვითარება, შესრულების მენეჯმენტი. ასევე კურსი მოიცავს სფეროს ისტორიულ შეფასებას და ფილოსოფიურ საფუძვლებს, შეისწავლის მიმდინარე პრაქტიკებს, რომლებიც გამოიყენება ადამიანური რესურსების მართვის სფეროში.			5			

MSC 5214	MSC 5310	სტრატეგიული მენეჯმენტი	კურსი მოიცავს ორგანიზაციის, როგორც ერთი მთლიანის ან მისი რომელიმე მნიშვნელოვანი დანაყოფის მართვას საერთაშორისო კონკურენტულ გარემოში. ის აყალიბებს მენეჯერის მოვალეობას, რაც გულისხმობს მრავალი ბიზნეს ფუნქციის გაერთიანებას მრავალეროვანი ორგანიზაციის წარმატებით სამართავად. თემები შეიცავენ ორგანიზაციის კომპეტენციის განხილვას საგარეო კლიმატსა და საერთაშორისო პირობებში, ბიზნესის განვითარების კორპორაციულ სტრატეგიას, რომელიც მიმართულია საერთაშორისო ბაზრისკენ და, რა თქმა უნდა, საშინაო პროცესების მართვას, რაც აუცილებელია ორგანიზაციის სტრატეგიის წარმატებით გატარებისათვის.				5		
MSC 5612		ცვლილების დაგეგმვა და მართვა	ცვლილებების მართვა არის სტრუქტურული მიდგომა ინდივიდების, გუნდების და ორგანიზაციების გადასაყვანად ამჟამინდელი (არასასურველი) მდგომარეობიდან მომავალში სასურველ მდგომარეობამდე. ცვლილებების მართვა გამოიყენება ნებისმიერი ორგანიზაციული ცვლილებების დროს, მტკივნეული რეფორმების, ორგანიზაციული ზრდის ან ტექნოლოგიის ინტეგრაციის დროს. მისი ამოცანაა უზრუნველყოს ორგანიზაციული ცვლილება მინიმალური წინააღმდეგობით, მაქსიმალური ჩართულობით, გაუმჯობესებული შედეგებით და მინიმალური ბიუჯეტით.				5		
MSC 5410		მდგრადი ბიზნეს პრაქტიკები	ეს კურსი ფოკუსირებულია მდგრადობის ინტეგრირებაზე ძირითად ბიზნეს ფუნქციებში. სტუდენტები სწავლობენ გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური მდგრადობის პრინციპებს და იკვლევენ, თუ როგორ შეუძლიათ ბიზნესს პასუხისმგებლობით და ეთიკურად იმუშაონ ისე რომ ორგანიზაციისთვის ეს იყოს მომგებიანი. კურსის მთავარი მიზანია სტუდენტებმა: • შეისწავლონ მდგრადი ბიზნესის ფუნდამენტური ცნებები, ჩარჩოები და მამოძრავებელი ძალა. • გაანალიზონ ბიზნეს გადაწყვეტილებების გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები. • შეაფასონ სტრატეგიები მდგრადობის ძირითად ბიზნეს ფუნქციებში დასაინტეგრირებლად • შეიმუშავონ ინოვაციური გადაწყვეტილებები ბიზნესში მდგრადობის გამოწვევების გადასაჭრელად. • გამოიყენონ მდგრადობის პრინციპები რეალურ ბიზნეს სცენარებში.				5		

MSC 5511		სემინარი სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში	კურსი მიზნად ისახავს, აღჭურვოს სტუდენტი როგორც თეორიული ცოდნით, ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, რაც აუცილებელია ბიზნესის მენეჯმენტის სფეროში კვლევის სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად ჩასატარებლად. კურსი სტუდენტს უვითარებს ცოდნას, თუ როგორ გამოიყენოს კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდების თეორიული ცოდნა კვლევის დაგეგმვის პროცესში, რაც აუცილებელია ბიზნესის სფეროს კვლევისათვის. სტუდენტი სწავლობს, როგორ დაგეგმოს კვლევის პროექტი და შეისწავლოს და გამოიკვლიოს ბიზნესის სფეროს მნიშვნელოვანი საკითხები. სტუდენტი სწავლობს კვლევის სტრუქტურას, აკადემიური ენის მოთხოვნებს და კვლევის პროექტის ლოგიკურ თანმიმდევრობას. სტუდენტი იძენს				5		

			კომპეტენციას, რაც აუცილებელია ახალბედა მკვლევრისათვის.						
MSC 5614	MSC5412	დამსაქმებლის ბრენდის განვითარება	რას ფიქრობს ადამიანი კომპანიის, როგორც დამსაქმებლის, ბრენდთან დაკავშირებით, ძალიან მნიშვნელოვანია ბიზნესის წარმატებისათვის. მსხვილი კორპორაციები ძალისხმევას არ იშურებენ სწორი ტალანტების მოსაზიდად და შესანარჩუნებლად. თანამშრომელებისთვის დადებითი ბრენდის ასოციაციის შექმნა მათთვის უკვე ძალიან მნიშვნელოვანია. კურსი განიხილავს არამხოლოდ წარმატებულ სტრატეგიას და ისტორიებს, არამედ შეეხება თაობათა საკითხებს (X, Y generations, Millenials, Z-gene), ადამიანის მისიას, ღირებულებებს, მიზნებს, კოგნიტურ მოთხოვნილებებს, კულტურულ პრიორიტეტებს, რომელსაც ადამიანი იყენებს სხვებთან - კოლეგებთან, მეგობრებთან ურთიერთობაში. განვიხილავთ კონკრეტულ ტაქტიკებს კომპანიის, როგორც კარგი დამსაქმებლის, იმიჯის შექმნისა და საუკეთესო ტალანტების რეზერვის ფორმირებისათვის. შევეხებით არამხოლოდ ფუნქციონალურ, არამედ ემოციურ ფაქტორებს გლობალურ სამყაროში, თანამშრომელთა ჩართულობას, შიდა კომუნიკაციას, დამსაქმებლის ბრენდის ინტეგრაციას კომპანიის მარკეტინგულ (საცალო) ბრენდთან, დამსაქმებლის ბრენდის კომუნიკაციას და რეპუტაციას.					5	
სასწავლო კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები (სტუდენტმა მეხუთე სემესტრში უნდა აირჩიოს ქვევით ჩამოთვლილის სასწავლო კურსებიდან ერთ-ერთი)									
MSC 5414	MSC 5310	ლოგისტიკა და მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი	კურსი მიზნად ისახავს სტუდენტს გადასცეს ლოგისტიკის ინდუსტრიისა და მის მონათესავე სფეროების სისტემური ცოდნა. სტუდენტები შეისწავლიან დისტრიბუციის არხების ეფექტურ მართვას და მასთან დაკავშირებულ ასპექტებს, როგორიცაა სატრანსპორტო კომპანიებთან, ბითუმად და საცალო მოვაჭრეებთან ურთიერთობის წარმართვის საკითხებს. კურსი ასევე განიხილავს ლოგისტიკის ისტორიული და თანამედროვე საკითხები. იქნება მოყვანილი ქართული და საერთაშორისო ლოგისტიკის ისეთი მაგალითები, რომლებიც სტუდენტებს მისცემს იმის საშუალებას, რომ გაიაზრონ სფერო გლობალურად და გააკეთონ საკუთარი დასკვნები.						
MSC 5611		ექსპორტის მენეჯმენტი	ექსპორტი წარმოადგენს ბიზნესის განვითარების და მასშტაბირების ერთ- ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას, თუმცა ძალიან ბევრი ორგანიზაციის მენეჯერს არ აქვს კარგად გააზრებული, კონკრეტულად რა პროცესთან და გამოწვევებთან არის დაკავშირებული პროდუქტის თუ სერვისის ქვეყნის საზღვრებს გარეთ გატანა. ზოგიერთი					5	

			მათგანი შიშით უყურებს უცნობ გარემოში გასვლის პერსპექტივას, ხოლო ზოგიერთი პირიქით, საერთოდ არ აღიარებს ამ პროცესის კომპლექსურობას. ორივე შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანია რეალისტური ხედვა, თუ როგორ მუშაობს საერთაშორისო ბაზა, რა გზა არის გასავლელი პროდუქტის თუ სერვისის ახალ ბაზრებზე შესატანად და რა ფუნქციების შესრულება უწევს ადამიანს, ვისაც უწევს ექსპორტის მართვის სადავეებთან ყოფნა. ეს კურსი სწორედ ამ ინფორმაციის მიღებასა და სათანადო უნარების განვითრებას ემსახურება.						

			მოახერხონ საზოგადოებრივი აზრის ცვლილება და ნებისმიერ ადამიანს, რომ გაიაზროს ეკონომიკური გადაწყვეტილების პროცესი და მიიღოს ოპტიმალური გადაწყვეტილებები.						
MSC 5111		ორგანიზაციული ქცევა	საგანი სწავლობს ადამიანური ქცევის კომპლექსურობას ორგანიზაციულ გარემოში და მენეჯერებისა და ლიდერების როლს ამ გარემოზე ზეგავლენის კუთხით. საგანი შეისწავლის ორგანიზაციული ქცევისა და შედეგიანობის მართვის ისეთ ფართო კონცეფციებს როგორიცაა: სამსახურეობრივი კმაყოფილება, ორგანიზაციული კუთვნილება, სტრესი, მოტივაცია, ორგანიზაციული სტრუქტურა და კულტურა. ყოველი მოცემული თემის კუთხით განხილული იქნება სპეციფიური თეორიები და მოდელები, რომლებიც განსაზღვრავენ ქცევას ორგანიზაციაში. ასევე განხილული იქნება ქცევათა მრავალფეროვნება ორგანიზაციებში.						
MSC 5613		მენეჯმენტ კონსალტინგი	მენეჯმენტ კონსალტინგი შეისწავლის საკონსულტაციო პროცესის შემადგენელ მნიშვნელოვან ელემენტებს: კონსულტანტის როლს და ფუნქციას, პრობლემის დიაგნოსტიკას,კლიენტთან ურთიერთობებს, მოლოდინებს, პრობლემებს და სხვა ბარიერებს და მათი გადალახვის გზებს საკონსულტაციო პროექტში.						
MSC 5610		მონაცემთა ანალიტიკა	სასწავლო კურსის მიზანია შესძინოს სტუდენტებს მონაცემთა ანალიზის თანამედროვე სტანდარტებისთვის აუცილებელი უნარები. იქნება ეს მონაცემთა მოძიება, დამუშავება, მოდელის შემქნა თუ ვიზუალიზაცია. MS Power BI-ის ინსტრუმენტების შესწავლა, რომელიც მსმენელს მიზნებისა და სამუშაოს შესრულებაში დაეხმარება. კურსის წარამტებით გავლის შემთხვევაში სტუდენტი შეძლებს Power BI-ში დაამუშაოს როგორც მცირე, ასევე დიდი მოცულობის ინფორმაცია. შეძლებს ინფორმაციის შემოტანას, დამუშავებს, გასუფთავებას, მოდელის შექმნას, კალკულაციების შექმნას, მონაცემების სასურველ ფორმატში ვიზუალიზაციას. რაც მთავარია, Power BI-ში შექმნილი მოდელი და ვიზუალები იქნება დააფდეითებადი და აღარ მოუწევს თავიდან შექმნა, თუ არსებითად მოდელის ცვლილება ან ახალი ვიზუალების დამატება არ გახდა საჭირო. ფაილი იმუშავებს refresh-ზე, და სასურველ დროს ახალი მონაცემებით განახლდება.						

კვლევითი კომპონენტი									
THES 5513		სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა	სტუდენტი თავისი ინტერესის სფეროდან გამომდინარე, ყალიბდება სამაგისტრო ნაშრომის თემაზე და თემის დასაწერად საჭირო კვლევის გეგმაზე. ნაშრომი წარედგინება თემის ხელმძღვანელს და კომისიას და ფასდება მათ მიერ სამაგისტრო ნაშრომის სახელმძღვანელოში მითითებული წესის შესაბამისად. ამ ნაშრომში დასაბუთებულად უნდა იყოს წარმოდგენილი სტუდენტის შეხედულება კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში, რომელსაც ის იკვლევდა სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას. ეს ნაშრომი უნდა ასახავდეს აკადემიური სწავლების პროცესში სტუდენტის მიერ მიღებულ ცოდნას და ის უნდა ეხებოდეს კონკრეტულ ბიზნესის სფეროს საკითხს მისი ინტერესის მიხედვით, ან ემპირიულ კვლევაზე დაფუძნებულ ნაშრომს.						30
ჯამური ECTS კრედიტი სემესტრში				20	20	20	20	10	30
ჯამური ECTS კრედიტი წელიწადში				60			60		